# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 203. | კვირა, 21 მარტი 1904 წ. | გაზეთის № 2445.

## კაცი კოლოფში

ა. ჩეხოვისა

(დასასრული *)

ერთხელ,—ეს იყო პირველს მაისს, კვირა დღეს,—როდესაც გიმნაზიის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა პირობა დავდეთ, ქალაქს გარედ სასეირნოდ წასავლელად გიმნაზიასთან შევქუჩებულვიყავით, მე და ბელიკოვი ერთად გავე-ლით. ბელიკოვი მთლად მწვანე იყო ვაზის ფოთოლსავით. „რამდენი ცუდი და ავი ხალხია ქვეყანაზე“! — წაილუღლუღა და ტუჩები აუკანკალდა. შემეცოდა. ასე მივდივართ და, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, უცებ ჩვენს გვერდით კოვალენკომ და იმისმა დამ ველოსიპედით გამოიქროლეს. ამინდიც მშვენიერი იყო. თვალიდან მიგვეფარნენ თუ არა, ბელიკოვს მწვანე ფერი თეთრად შეეცვალა და თითქოს გაშეშდა. შედგა და ყურება დამიწყო.— „მოიცა, გეთაყვა, ეს რა ამბავია?— მკითხა იმან. ნუთუ მხედველობა მატყუებს? განა გიმნაზიის მასწავლებელს და ქალს ველოსიპედით სიარული შეჰფერის“?— მერე რა არის დასაძრახისი?— ვკითხე მე. —რამდენიც სურთ, იმდენი იარონ. „რასა ბრძანებთ, როგორ შეიძლება?— შეჰკივლა იმან, გაჰკვირდა-რა ჩემის სულის სიმშვიდით. ისე გაოცდა, რომ აღარ ისურვა გზის გაგრძელება და შინ დაბრუნდა. მეორე დღეს ხელებს იმტვრევდა და მთლად ტანი უხტოდა, სახეზე ემჩნეოდა, რომ ცუდი რამ მოსვლიაო. ცუდს გუნებაზე მყოფობისა გამო მეცადინეობას თავი დაანება, რაიცა იმის ცხოვრებაში პირველი იყო. ამ დღეს არც უსადილნია. საღამო ხანს, თუმცა გარედ ზაფხული იყო, თბილად ჩაიცვა და კოვალენკოვებისკენ გასწია. შინ მარტო ვარინკას ძმა დაჰ ვდა.

— „დაბრძანდით“.— ცივად და წარბების შეჭმუჰვნით უთხრა კოვალენკომ. სახე ნამძინარევი ჰქონდა: ის იყო ნასადილევის ძილისგან ამდგარიყო და გუნებაზედ არ იყო.

— ათის წამის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ბელიკოვმა:

— „მე თქვენთან მოველ სულის მოსალბობად. საშინლად მძიმედა ვარ. ვიღაცა პასკვილიანტს მე და ერთი ჩემი მახლობელი ქალი სამასხარაო სახით დაუხატივართ. ვალდებულად ვრაცხ თავს დაგარწმუნოთ, რომ მე აქ არაფერ შუაში ვარ და არც რაიმე მიზეზი მიმიძლვის ამ გვარ დაცინვისთვის, პირიქით ისე ვიქცეოდი და ყოველს დროს ისე მეჭირა თავი, როგორც შეჰფერის რიგიანს და პატიოსან კაცს“.

კოვალენკო გაბერილი იჯდა და ჩუმად ყურს უგდებდა. ბელიკოვმა რამდენისამე წამის შემდეგ კვლავ განაგრძო დალონებულის კილოთი:

—„მე ცოტა რამ კიდევ მაქვს თქვენთან სათქმელი. დიდი ხანია, მე ვმსახურებ, თქვენ კი ახლად იწყობთ სამსახურს, ამიტომ თავს ვალდებულად ვრაცხ, როგორც უფროსი თქვენი ამხანაგი, გაგაფრთხილოთ. თქვენ დაჰქროლავთ ველოსიპედით და ეგ კი არ შეჰშვენის ყრმათა ალმზრდელს“

### კავკასიელი მხატვრები



გზაზე, სურათი ზომერისა



შინდორზე, სურათი მისივე

*) იხ. „დამატება“ № 202.



ადმირალი ტოგო

—„რატომ?“—ბოხის ხმით ჰკითხა კოვალენკომ.

—„რატომ? განა საჭიროა ამისი ახსნა—განმარტება?! მასწავლებელი თუ ველოსიპედით დადის, მაშინ მოსწავლეებს რაღა დარჩენიათ გარდა იმისი, რომ ყირამალა იარონ! ამასთან, რადგან ველოსიპედით სიარული ცირკულიარით არ არის ნება დართული, არც შეიძლება იმით სიარული. გუშინ თვალთ დამიბნელდა და საშინლად გავოცდი, დაგინახეთ რა თქვენ და თქვენი და ველოსიპედზედ. განა შესაწყნარებელია, ქალმა ველოსიპედით იაროს? ეს საშინელებაა“.

— „მერე თქვენ რა გნებავთ?

— „მე მნებავს მხოლოდ ერთი: თქვენ გაგაფრთხილოთ, მიხეილ სავიჩ. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, მომავალი ჯერ წინ გიძევთ, ამიტომ იმის მაგივრად, რომ ძლიერ სიფრთხილით იყვეთ, თქვენ ასე იფუჭებთ სამსახურს. ქუჩაში მუდამ წიგნებით და ნაკერ პერანგით სიარული არ იკმარეთ და ახლა ველოსიპედზედაც შესკუპდით. ის, რომ თქვენ და თქვენი და ველოსიპედით დასეირნობთ, შესაძლოა, დირექტორის ან მზრუნველის ყურამდისინაც მიახწიოს და მერე რა კეთილი გამოვა?

— „მე და ჩემი და თუ ველოსიპედით დავსეირნობთ, ამაში სხვას საქმე არა აქვს!—უთხრა კოვალენკომ და წამოწითლდა.—იმასაც, ვინც ჩვენ შინაურს საქმეში გაერევა, კარგ პანჩურსა ვკრავ და ჯანაბისკენ გავამგზავრებ“.

ბელიკოვი გაფითრდა და ზეზე წამოდგა.

— „თუ თქვენ მაგგვარის კილოთი დამიწყებთ ლაპარაკს, მე ველარ შევძლებ განვაგრძო. ამის შემდეგ, გთხოვთ, მაგგვარი როშვა უფროსებზედ ჩემთან აღარ გაბედოთ. თქვენ პატივით უნდა ეპყრობოდეთ უფროსებს“.

„— განა ცუდი რამ ვსთქვი უფროსებზე?—ზიზღით შეეკითხა კოვალენკო.—თუ ღმერთი გრწამთ, თავი დამანებეთ. მე პატიოსანი კაცი ვარ და ისეთ კაცთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით, არა მსურს ლაპარაკი. მე არ მიყვარს „ფისკალები“.

ბელიკოვი თავის სიცოცხლეში პირველად ისმენდა და არც მოელოდა ამ გვარ უშვერ სიტყვებსა, რამაც საშინლად გააოცა და ფიცხლავ წამოხტა წასასვლელად.

— „თქვენ რაც გნებავთ, ისა სთქვით,—უთხრა მან, როდესაც გამოდიოდა, მხოლოდ მე კი გაფრთხილებთ. იქმნება ჩვენი ლაპარაკი სხვა ვინმემაც გაიგო და რათა მან ეს ლაპარა-

აზრი და შინაარსი ჩვენის ბაასისა ბ-ნ დერექტორს მოვახსენო. მე ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე“

— „მოახსენო? წადი და მოახსენე.“

კოვალენკომ სტაცა უკანიდან საყელოში ხელი ბელიკოვს და ისეთი ჰიტლაყი უჭირა, რომ საწყალი კალოშების რახრახით ძირამდის სულ გორაობით ჩაცურდა. თუმცა კიბე მაღალი და მიხვეულ-მოხვეული იყო, მაგრამ იგი მშვიდობიანად ჩაგორდა, მხოლოდ ცხვირზედ ხელი მოისვა, სათვალეები ხომ არ დამენტვრაო? იმ დროს, როდესაც ბელიკოვი კიბეზედ მირახრახებდა, ვარინკა და ორი სხვა ქალიც შემოვიდა. ისინი ძირს იდგნენ და სცენას უყურებდნენ. ბელიკოვისთვის ეს ყველაზედ დიდი საშინელება იყო. უმჯობესი იყო იმისთვის კისერი ან ორავე ფეხი მოსტეხოდა, თუ ასე სასაცილოდ გახდებოდა.—„ეხლა ხომ, ჰფიქრობდა ბელიკოვი,—მთელი ქალაქი, თვით დირექტორი ან მზრუნველიც გაიგებს და უთუოდ გამომიტყვრება რამე! დაჰხატავენ ახალს კარრიკატურას და გათავდება იმითი, რომ მიბრძანებენ, სამსახურიდან გადადექიო.“ როდესაც ბელიკოვი წამოდგა, ვარინკამ იცნო. ჩაჰხედა რა იმის სასაცილო სახეს, დაჭმუჭვნილს პალტოს, კალოშებს, ჯერ ვერ მიხვდა, რაშია საქმე, ეგონა უცაბედად თვითონ ჩამოვარდაო, შემდეგ კი თავი ვერ შეიკავა და მოჰყვა ხარხარსა. ამ კისკის-ხარხარით დაუმთავრდა კიდეც ბელიკოვს ყველაფერი: დანიშვნა და მიწიერი ცხოვრებაც. სირცხვილით ველარაფერს ჰხედავდა და არც ესმოდა ვარინკას ლაპარაკი. შინ მისვლის უმალვე სურათი მაგიდას მოაშორა და ჩაწვა ლოგინში, საიდანაც აღარ ამდგარა. სამი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან ათანასე და მითხრა, რომ ბატონი ცუდად არის და საჭიროა ექიმი, თუ არაო. მე ბელიკოვის სანახავად წავედი. წინანდებურად საბანში გახვეულიყო და ხმას არ იღებდა. ყოველ კითხვაზე, მხოლოდ „ჰო“-ს და „არა“-ს ამბობდა. იმის ახლო დაღვრემილი და წარბებ შეჭ-




ომის გამოცხადება და მანიფესტაცია ტოკიოში.

მოხვნილი ათანასე დადიოდა და ღრმად ოხრავდა. ისე ყარ-

ერთის თვის შემდეგ ბელიკოვი გარდაიცვალა. დასაფლავებას ჩვენ ყველა მასწავლებლები დავესწარით. სახის გამომეტყველება, როდესაც ის კუბოში იწვა, მეტად მშვიდი, სასიამოვნო და მხიარული ჰქონდა, თითქოს უხაროდა, რომ ბოლოს ხომ მაინც ჩამდვეს კოლოფში, საიდანაც აღარ ამოვალო. დიახ, მიახწია თავის იდეალს. თითქოს იმის პატივსაცემლადვე დასაფლავების დროს წვიმიანი დღე იყო და ჩვენ ყველანი კალოშებით და ქოლგებით ვიყავით. დასაფლავებას ვარინკაც დაესწრო და როდესაც კუბოს სამარეში უშვებდნენ, წაიქვითქვითა. მე შემინიშნავს, რომ ხახოლის ქალები მხოლოდ ტირიან ან იცინიან, საშუალო სულის მდგომარეობა კი არა აქვთ. უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ ისეთის ხალხის დამარხვა, როგორიც ბელიკოვია, ძლიერ სასიამოვნოა. როდესაც სასაფლაოდან შინ ვბრუნდებოდით, ჩვენ ყველას წყნარი სახე გვქონდა—არავის არ გვინდოდა გამოგვეჩინა კმაყოფილების გრძნობა, რომელიც ბავშვობაში ბამოგვიცდია, როდესაც უფროსები სხვაგან მიდიოდნენ და ჩვენ მარტოდ ბაღში გვტოებდნენ ხოლმე: ვხტოდით, ვთამაშობდით და ვსტკბებოდით თავისუფლებით. ოჰ, თავისუფლება, თავისუფლება! მცირედი იმედიც კი იმის განხორციელებისა კაცის სულს ფრთებს უსხავს არა, ივან ივანიჩ! სასაფლაოდან კეთილ განწყობით დავბრუნდით. არ გაუვლია ერთს კვირას, რომ ცხოვრებამ მიიღო წინანდებურად მრისხანე, მოწყენილი და უაზრო სახე. თუმცა იგი ცირკულიარით არ იყო აკრძალული, მაგრამ არც ნება დართული იყო. ბელიკოვის სიკვდილით არ შეგვეტყო უკეთესობა. მართლაც და ბელიკოვი რომ მოკვდა, განა მისებრ კოლოფში მჯდომი კიდევ ცოტა დარჩა და ან ცოტა იქმნება?!



ხუნხუზების თავდასხმა.

ჰოდა ეგაა სამწუხარო,—უთხრა ივან ივანიჩმა და ჩიბუხს წაუკიდა

— ეე, ამისთანეების ჩამდენი იქმნება კიდევ!—გაიმეორა ბურკინმა

— ჰო და ეგაა და, —გაუმეორა ივან ივანიჩმაც. განა ეს კი კოლოფი არ არის, რომ ქალაქის სიცხე-სივიწროვეში ვცხოვრობთ, ვწერთ გამოუსადეგარს ქაღალდებს და ბანქოს ვთამაშობთ? იგივე კოლოფი არ არის უსაქმურებთან, სულელებთან, ცუდლუტ ქალებთან დროს გატარება და სხვადა-სხვა სიცრუის ყურისგდება და ლაპარაკი? თუ გნებავს ამის შესახებ მოგიყვები სხვა უფრო კარგს ისტორიას.

— არა, ძმაო, დროა ძილისა, ხვალისთვის იყოს,—უთხრა ბურკინმა

— ორივენი შევიდნენ სარაიაში და თივაზედ დაწვნენ. ჯერ არ იყვნენ ბურანში შესულები, რომ უცებ შემოესმათ ფეხის ხმა: ტუპ, ტუპ... სარაიას ახლო ვიღაცა დადიოდა. ძაღლებმაც ყეფა დაიწყეს.

— ეგ მავრა დადის,—უთხრა ბურკინმა.

— ფეხის ხმაც მოსწყდა-

— ჰხედავდე და გესმოდეს, როგორ სტყუვიან,—წამოიძახა ივან ივანიჩმა, ბრუნდებოდა რა მეორე გვერდზედ; შენვე გეძახდნენ სულელს იმაზე, რომ ითმენ ტყუილებს, შეურაცხყოფას, დამცირებას და არ შეგეძლოს გულახდით აღვიარაო, რომ მე პატიოსნებისა და თავისუფლების მქონე ხალხის მხარეზე ვარ. ერთის სიტყვით ლუკმა-პურის და ჩინ-მენდლის გულისთვის, რომლის ფასიც ფლურია, შენვე სტყუოდე და იღიმებოდე, ოო, ეს აუტანელი საძაგლობაა. ამ გვარად ცხოვრება შეუძლებელია.

— ეე, ძამიავ, შენ ახლა სხვა ოპერიდან მოჰყე,—უთხრა ბურკინმა.—დროა ძილისა. ათი წამის შემდეგ ბურკინს უკვე ეძინა, ხოლო ივან ივანიჩი კი შამფურივით ტრიალებდა, ოხრავდა და ძილი არ მოსდიოდა. შემდეგ წამოდგა, გავიდა გარედ და, ჩამოჯდა რა კარებთან, ჩიბუხი ააბოლა.

გლახა ხუცესი.

* * *

...და შენ კი, სატრფოვ, რად მიღიმი
ეგრე ცბიერად?
შენს ფერხთ ქვეშა ვარ შენი მონა,
შენი მსახური!
მე გიგულებდი ზენაარათ,
არსად ციერად,
შენ კი ხელი მკარ, სხვის გულის-თქმას
მიუპყარ ყური!

—

ოჰ, სატრფოვ, სატრფოვ! მტარვალია
იგი, მტარვალი,
დღეს რომ თვალთმაქცად შენ თვალთა
წინ ჯამბაზობს, ელავს...
ფრთხილად, სულიკო!—აახილე
გონების თვალი,
თვარა სხვაზე წინ ის შენს ნამუსს
ფეხ-ქვეშ გასთელავს.

—

გველია იგი, რომ აცთუნა
პირველად ევა...
და თუ შენც, ტურფავ, მან ბოროტი
ხელი შეგახო,—
ოჰ, ცაო, ცაო რისხვით დამეც
კრულვა და წყევა,
თუ ის საშინელ შურის-გებით
ძირს არ დავამხო!..
მე კვლავ მიყვარხარ...

დ. თომაშვილი.




ქართულ დრამატიულ საზოგადოების ცარიელ ზანდუკის წინ.

ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის სიმაგრე მეურნეთა წინააღმდეგ




სოფლის მეურნენი. ღმერთო ძლიერო! ვისთვის არის ეს ბანკი?!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.